№ 45 მარტი 1, ხუთშაბათი 1890 მარტი 1, ხუთშაბათი № 45

გაზეთის ღირს

| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . . | 10 — | 6 . . . . | 6 — |
| 11 . . . . | 9 50 | 5 . . . . | 5 50 |
| 10 . . . . | 9 75 | 4 . . . . | 4 75 |
| 9 . . . . | 8 — | 3 . . . . | 3 50 |
| 8 . . . . | 7 25 | 2 . . . . | 2 75 |
| 7 . . . . | 6 50 | 1 . . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

ქართული თეატრი

კვირას, 4 მარტს,

ბ-ნ აღნიაშვილის ქართული ხორო (24 კაცი)

გამართავს ჩვეულებრივად სრულიად ახალ

„კონცერტს“

შემდეგის პროგრამით:

I

1) გამოთხოვება დ. ზ. ბაქრაძის გარდაცვალების გამო (სიტყვები აკაკისა), დაწერილი ი. თ. სარაჯიშვილის მიერ.

2) წევური „ოდილა“ ანუ მოკლე „ნადური“ იმერული (სიტყვები რაფ. ერისთავისა), ჩაწერილ ბ-ნ მაღრაძის მიერ.

3) „ზამთარიო“ კახური (სიტყვები „ვეფხის-ტყაოსნიდგან“), ჩაწერილი სარაჯიშვილის მიერ.

4) „პატარა საყვარელო“ იმერული, ჩაწერილი ფ. ევ. ქორიძის მიერ.

5) „წითელო ვაშლო, შენ გესერი“ კახური, ჩაწერილი ბ-ნ სარაჯიშვილის მიერ.

II

1) „მამითადი“ მარტყოფული (სიტყვები რაფ. ერისთავისა), ჩაწერილი ბ-ნ სარაჯიშვილის მიერ.

2) „მუშა ბოქულაძე“ სიმღერა ნ. გაბუნია-ცაგარლისა—ჩაწერილი და სამ ხმად გადაკეთებული ბ-ნ სარაჯიშვილის მიერ.

3) „ნუ სტირ, ყმაწვილო“... სოლო ბურჯანაძისა აკომპანიმენტით ორკესტრისა და მთელის ხოროსი, ოპერიდგან „დემონი“ მისის ავტორის, ანტ. რუბინშტეინის 50 წლისთავის მოღვაწეობის გამო.

4) „სიდონია გაიპარა“ კახური (ლექსი ხალხური), ჩაწერილი ბ-ნ სარაჯიშვილის მიერ.

5) „გახსოვს, ტურფავ“... სიმღერა ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ჩაწერილი ბ-ნ სარაჯიშვილის მიერ, მის მიერვე გაკეთებული ხოროს აკომპანიმენტით.

III

1) „ნანა ბატონებისა“ იმერული მსხომში სათქმელი (სიტყვები აკაკისა), ჩაწერილი ბ-ნ მაღრაძის მიერ.

2) „ფერსა ბნელს, ფერსა შავს“... იმერული (სიტყვები ა. ჭავჭავაძისა), ჩაწერილი ბ-ნ სარაჯიშვილის მიერ.

3) «გვიბრძანე» მარტყოფელებისა, ჩაწერილი მის მიერვე.

4) «ქონა» იმერული (სიტყვები ი. ბაქრაძისა), ჩაწერილი მაღრაძის მიერ.

5) „ოდელა და დელა-დელა“ კახური, ჩაწერილი ბ-ნ სარაჯიშვილის მიერ.

ქართული თეატრი

პარასკევს, 2 მარტს,

ქართულ თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქმნება:

I

ეხლანდელი სიყვარული

კომედ. 4 მოქმედ.

II

პირველად ახალი პიესა

მიტო ანცაშვილი

ვოდევ. 1 მოქმედ.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, ჩერქეზიშვილისა; ბ-ნი აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, ცაგარელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, 27 თებერვალს, საღამოზე ტფილისის საგუბერნიო გამგეობის დარბაზში ბ—ნ გუბერნატორის მოწვეულობით შესდგა კრება. კრებაზე იყვნენ მიწვეულნი მთელი საგუბერნიო გამგეობა, მთელი გუბერნიის საგლეხო სასამართლო, ტფილისისა და სიღნაღის მარშლები, ქალაქში მყოფნი მომრიგებელნი შუაკაცნი, სახელმწიფო ქონების გამგებელი, თავმჯდომარე სახაზინო პალატისა, ტფილისის მაზრის უფროსი და სხვა სამსახურნის კაცნი და კერძო კაცნიცა—სულ ოც-და-ოთხი კაცი.

ბ-ნმა გუბერნატორმა აუხსნა კრებას, რომ ეს ოცი წელიწადია, რაც ჩვენს გუბერნიაში დაწესებულია პურის მაღაზიები სოფლებში. თუმცა მაღაზიებისათვის პური გროვდება, მაგრამ თითქმის ყველგან ურიგობისა და უწესოების გამო ამ მოგროვებამ თავი ვერ დაიჭირა. დღეს თუ ყველგან არა, ძალიან ბევრგან მაინც სოფელს, მაღაზიის მქონებელს, არც პური აქვს, არც ფული, თუმცა-კი ერთიც უნდა ჰქონოდა და მეორეც. რადგანაც აქაური სოფლელი ხალხი დღესაც მზად არის აძლიოს პურის მაღაზიას იმ ზომით პური, რა ზომითაც აქამომდე შეჰქონდა, საჭიროა რაიმე წესი და რიგი დაიდვას, რომ პური არ იკარგებოდეს და ადგილას რჩებოდეს კარგად მოვლილი და კარგად შენახული, რათა გაჭირების დროს სოფელსავე მოეხმაროდეს. ამ წესისა და რიგის დადგენისა და ჩამოგდებისათვის მოგიწვიეთ თქვენაო, სთქვა ბოლოს ბ-ნმა გუბერნატორმა.

გძელი საუბარი გაიმართა ამაზე და ბოლოს საქმე იმაზე მისდგა, რომ ყოველთა უწინარეს საჭიროა ჯერ გადასწყდეს, პურის მოგროვებას საგნად მარტო პურით შველა ჰქონდეს ხალხისა, როცა ხალხს მოუსავლობის გამო გაუჭირდება, თუ ამას გარდა სხვა უფრო ვრცელი დანიშნულებაცა, მაგალითებრ, გაძლოლა ყოველ გვარ საზოგადო და პატივ-სადებ საჭიროებისაც საკუთრივ გლეხთა საზოგადოებისათვის. გძელის ბაასის შემდეგ დიდის უმეტესობით გადასწყდა, რომ მაგ პურის მოგროვებას ვრცელი მნიშვნელობა მიეცეს, ხოლო ისე-კი, რომ ჯერ ყოველთა უწინარეს პურით შველა ჰქონდეს სახეში და რაც ამ საშველად მოგროვილს პურს გადარჩება, ის ფულად იქცეს და საზოგადო საჭიროებისათვის გადადებულ იქმნას თითოეულ სოფლის საზოგადოებისათვის ცალკე და თითოეულის ცალკე საზოგადოების საკუთარ ფულად ჩაითვალოს. მერე დაყენებულ იქმნა გადასაწყვეტად: შესაძლოა ზოგი პურად ჰგროვდებოდეს და ზოგი ფულად, თუ არა? აქაც ხმის დიდის უმეტესობით გადაწყდა, რომ მარტო პურად უნდა ჰგროვდებოდესო. რაკი ეს ორი ძირეული საგანი გამოირკვა, კრებამ შესაძლოდ დაინახა ამოერჩია კომისია, რომელმაც უნდა შეადგინოს წესდება, დაფუძნებული ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაზე და მიმართული მასზე, რომ პურსა, თუ ფულს, ამ რიგად მოგროვილს და შემდგარს, რიგიანი პატრონობა და ზედამხედველობა ჰქონდეს. კომისიაში წევრებად ამორჩეულ იქმნენ ბ-ნი ივ. სტეფ. ხატისოვი, ბ-ნი პახომოვი, მომრიგებელი შუა-კაცი ბ-ნი თულაშვილი, ტფილისის მაზრის უფროსი თ. ლ. ჯანდიერი, ილია ჭავჭავაძე და საქმის მწარმოებლად ბ-ნი ალ. ყიფშიძე. კომისია, შეადგენს რა პროექტს წესდებისას, დავალებულია კრე-

## ფელეტონი

### ხიდია ჩატეხილი

მოთხრობა

(ვუძღვნი ჩემს მეგობარს პეტრე იოსების ძეს ყიფიანს)

I

აპრილი იყო. მთელის დღის ბრძოლით დაქანცული მზე შორს, მაღალს მთაზე შემჯდარიყო და თოვლით აჭრელებულს მთა-ბარს ულონოდ სცემდა უკანასკნელს ისრებს. სურამის რკინის გზის სადგურის წინ არხეინად დასეირნობდა მანდილოსანთა ჯგუფი, იმ სიცილით, იმ კისკისით, რომელიც ეგრე უხდება ჩვენს ქალებს, მანდილოსნები ერთმანეთს რაღაცას უამბობდნენ და თეთრის, ფუნჩულა ხელებით მზის სხივებს სახეს არიდებდნენ.

ცოტა ხანში რკინის გზის სადგური ხალხით გაიტენა.

— ქალო, სთქვა ერთმა, ახალი ამბავი არ იცი? დღეს იოსებიანთ ნიკო უნდა მოვიდეს.

— ტყუილი იქნება, შენმა მზემ, მიუგო მეორემ: გუშინ ძალუა ჩემისთვის ეთქვათ, ვითომ ის სამუდამოდ რუსეთში აპირობს დარჩენასაო, იქ კარგი სამსახურიც უშოვნიაო.

— მე მასწავლი, ქალო? ეს არის იმის მოურავი ვნახე, ცხენები ჩამოუყვანია ნიკოსთვის.

— მაშ მართალს ამბობ! სასიამოვნოა, შენმა მზემ, მეტადრე თუ კარგი და ლამაზი კავალერიც არის.

— ვუი, შენგან არ მიკვირს, მაგას ამბობ. აბა ის ეხლა ჩვენ რაღად გვიკადრებს!

— ვითომ რატომაო! სხვებსავით რუსულად რომ არა ვტიკტიკებთ!

— ყურიდგან ბამბა გამოიძრე, ქალო. რითი ვერ გაიგე, რომ ლეჩაქიანებს აღარ გვკადრულობენ.

— ვუი, ისემც თვალი დაუდგებათ, რაც მე იმათ გულისათვის ლეჩაქი არ მოვიხადო! აგერ მატარებელიც მოდის; ვნახოთ ერთი, ვნახოთ ვინ არ გვკადრულობს!

თავისებურის ქლოშინით მატარებელმა მოსახვევიდგან თავი გამოჰყო. ხალხი შეიძრა და მოუთმენლად ყველამ იმას დაუწყო ცქერა.

— აიგერ, ნიკოს მოურავი, რომ არა გჯეროდათ, სთქვა ისევ იმ ქალმა, რომელმაც პირველად ახარა ქალებს ნიკოს დაბრუნება რუსეთიდამ.

მარტოდ, განცალკევებით, მატარებლის მხარეს ერთი ახალგაზდა გლეხკაცი იდგა, ეს იყო ნიკოს მოურავი. დალერემილის სახით შესცქეროდა ის მომავალ მატარებელს და ნელის ნაბიჯით გაემართა იმის შესახვედრად. აგერ მატარებელი გაუსწორდა მოურავს. მოურავი უცბად შეჩერდა და იმისი მზისგან დამწვარი სახე სიხარულმა წამოაწითლა. სოსომ იცნო თავის საყვარელი ბატონი, სიხარულით გული აუკანკალდა და ჯერ კიდევ მოსრიალე მატარებელს ძუნძულით უკან გამოედევნა.

მატარებელი გაჩერდა და სიხარულით აღტაცებული ნიკოც ალერსიანად მოეხვია სოსეს. სოსეს შერცხვა ასეთის მოალერსებისა და ცრემლიანს თვალებს ჩოხის კალთით იწმენდდა.

— წავიდეთ, უთხრა ბოლოს ნიკომ, როდესაც შეამჩნია, რომ ყველანი იმათ შესცქეროდნენ და ჩუმად იცინოდნენ. ნიკომ და სოსემ მალე ჩაირბინეს ბექობა, რომელზედაც რკინის გზის სადგურია აშენებული და, ათს წამსაც არ გაევლო, რომ სოფლის გზას მუსაიფით შეუდგნენ. რა გულით ნატრულობდა ნიკო იმ წამს, როდესაც ამ ფოსტის გზიდგან სოფლის გზაზე გადუხვევდა. აგერ ოთხი წელიწადი სრულდებოდა, რაც სამშობლოს მოშორებოდა და მთელ ამ ხნის განმავლობაში მამულის სევდა ნელ-ნელა გულს უღრღნიდა, უწვავდა და სიცოცხლეს უმწარებდა! აგერ ის მიწური სახლები, ის ძაღლის ყეფა, აი ის ოროველის ხმა, რომლის მოგონებისას გული კვნესას დაუწყებდა ხოლმე; ნიკო აღტაცებით შესცქეროდა იმ გორებს, იმ აჭრელებულს მინდვრებს, რომელიც ეხლა გარს ეხვია, და ყოველს ბუჩქს თავის დედა-ქვეყნისას გულში სალამს აძლევდა. მთელს არე-მარეს იმნაირად აცქერდებოდა, თითქო უნდოდა იმათშიაც ეპოვა ის სიამოვნება, რომელსაც იმ წამს მისი გული ჰგრძნობდა. რაღაც გამოუთქმელი, მაგრამ ადვილად მისახვედრი გრძნობა აღელვებდა იმის გულს.

— სოსე, გადასძახა ნიკომ: რა უკან მომდევ, დამიახლოვდი, გვერდში მომყევი. მე ისევ ის ნიკო ვარ, რომელიც შენ გელაზღანდარავებოდა და პატარაობითვე შენთან შეზრდილა. მე შენი მოსამსახურობა-კი არა, შენი მეგობრობა, შენთან ძმობა მინდა.

ამ სიტყვებზე სოსეს გული აუკანკალდა. მოაგონდა სოსეს ნიკოს გულკეთილობა, მოაგონდა რამდენჯერ დაიხსნა ნიკომ ბატონის ცემისაგან, მისი პატრონობა, ძმური დარიგება და გული მოულბა. განა არა, ჰფიქრობდა სოსე: გული მიგრძნობდა, რომ ჩემი ერთგულობა ტყუილად არ ჩაივლიდა და ჩემს ნიკოს არ დავავიწყდებოდი.

სოსემ ცხენს მათრახი შემოჰკრა, მაგრამ ცხენი ისე არ იყო დაჩვეული, რომ ნიკოს გასწორებოდა.

— სოსე, რა მიხარიან!.. წამოიძახა გონება-დაუტანებლად ნიკომ და მერე თითქო შერცხვა ამ წმინდა გრძნობის გამჟღავნებისა. შემოჰკრა ცხენს მათრახი და მოჰქუსლა.

როგორც ძუძუს ბავშვი ჩვენთვის აუხსნელის სიხარულით კისკისობს და ბუქნაობს დედის კალთაში, ისე ნიკო რაღაც გამოუთქმელ სიამოვნებით უზანგებზე ბუქნაობდა და ნაზად ეალერსებოდა ნიავს, რომელიც იმის გახურებულს სახესა სცემდა.

— ფიცხი ცხენია, თავი არ წაგართვას! აფრთხილებდა ნიკოს შორს ჩამორჩენილი სოსე, რომელიც სასაცილოდ მიაჩაქჩაქებდა თავის ცხენს. მაგრამ ნიკოს არ ესმოდა სოსეს ლაპარაკი. ნიკოს ცხენი უფრო და უფრო ფიცხდებოდა და უმატებდა სიჩქარეს. ნიკომ აღვირი კისერზე მიაგდო და თითონ, წინ გადახრილს, ორივ ხელები წინვე გაეწოდებინა, თითქო მოუთმენლად რიღაცის მიწვდომას სცდილობდა. აგერ ცხენი პატარა გორას მიადგა. ნიკომ გაჯავრებით უკანასკნელად გადაჰკრა მათრახი, თითქო ცხენის ბრალი იყო, რომ იმისი გული ცხენს უსწრობდა, და ერთს წამს ნიკო ზედ წვეროზე მოექცა გორას. აქ ცხენმა შეაჩერა სირბილი, თითქო იგრძნო, რომ იმისი მხედარი ამ ადგილს ესწრაფებაო. ნიკომ აღვირს მოსწია, ცხენზედ გასწორდა და ნელის ნაბიჯით ეშვებოდა იმ გვერდობიდგან, საიდამაც იმისი სოფელი სჩანდა.

თუმცა მზე კარგა ხნის ჩასული იყო, მაგრამ დიდი ბადრი მთვარე დღესავით ანათებდა არე მარეს უცნაურის, ნაღვლიანის სიამოვნებით გადასცქეროდა ნიკო იმ ალაგს, სადაც თავისი სიყმაწვილე გაეტარებინა. ისევ იმ ალაგს, ისევ იმ მიწურ სახლებს უყურებდა ნიკო და ჰხედავდა იმ პატარა ნიკოს, რომელიც მხიარულად გადარბოდა ბანიდგან ბანზე და უდარდელად ცელქობდა. ეხლა-კი ცელქობის დრო გავლილი ჰქონდა, ფიქრმა და კაცის მოვალეობის შეგნებამ მკაცრად გასდევნა იმისი უდარდელობა; ეხლა ნიკო უყურებდა თავის სოფელს, გული სიამოვნებით უღელავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბასვე წარუდგინოს გასარჩევად და განსახილველად.

*** კაი ხანია ჩვენს ნასწავლსა და განათლებულს საზოგადოებაში ტრიალებს აზრი, რომ ქართველთათვის დიდად საჭიროა ყოველ თთვიური სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალიო. რამდენჯერმე კიდეც გაიგზავნა თხოვნა ამ აზრით მწერლობის საქმეების მთავარ-სამმართველოში, მაგრამ ნება-რთვა ჟურნალის ბეჭდვისა არავის არ მოუვიდა პეტერბურგიდამ. ახლა ამბობენ, რომ ასეთი აზრი კვლავ დაებადა რამდენსამე ნასწავლს კაცს და უნდათ გაჰგზავნონ ქაღალდი, საცა ჯერ არს, და ითხოვონ ქართულის ყოველ თთვიურის ჟურნალის ბეჭდვის ნება-რთვაო.

*** იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა ახლად აღმოჩენილი წერა-კითხვის საზოგადოების ხელ-ნაწერებში მატიანე ქართველთა ძველის ცხოვრებისა, რომელიც წინ უძღვის მეათე საუკუნის ხელ-ნაწერს საქართველოს გაქრისტიანების მოთხრობისას. მატიანეს შენიშვნებითა და სხოლიოებით ჰბეჭდავს მასწავლებელი ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისა, ბ-ნი თაყაიშვილი, ხოლო ქართველთა მოქცევის ამბავს, ანუ წმ. ნინოს ცხოვრების აღწერას ჰბეჭდავს, როგორც ამბობენ, თითონ წერა-კითხვის საზოგადოება.

*** სოფელ რუისის სკოლის მასწავლებელი ბ-ნი ი. ავალიშვილი გვწერს ქართლიდგან: სოფელ რუისს ამ ოცისა და ოც-და-ხუთის წლის წინად სხვა-და-სხვა ხელ-საქმის მცოდნე სოფლის სახელი ჰქონია გავარდნილი. აქ სცოდნიათ, მაგალითად, ქსოვა ხალიჩებისა, ფარდაგებისა, საჩოხე შალების და სხვა. მარტო ერთ უბანშიო (გალავნის უბანში), როგორც ამბობენ დამსწრენი, ოცზე მეტი ქარგა, ხალიჩის ყდა და ამდენივე საფეიქრო იყო გამართულიო. ეხლა მარტო სახელი „ფეიქარი“ თუა ჩვენში დარჩენილი, თორემ თვით საქმე აღარავინ იცის, გარდა ორიოდე მოხუცებულისა. სანამ შეუძლიანთ ამ მოხუცებულებს გადმოგვცენ, მანამ უნდა ვეცადოთ გავავრცელოთ ხალხში ეს ფრიად სასარგებლო საქმე. რასაკვირველია, თუ გავრცელდება ხალხში რაიმე ცოდნა და კეთილი საქმე, ისევ სასწავლებლის შემწეობით. სამწუხაროდ რუისის სასწავლებელი, სადაც, ვაჟებს გარდა, ბლომად სწავლობენ ქალებიც, ისეთი ღარიბია, რომ არ შეუძლიან არამც თუ მცოდნე კაცი იყოლიოს, არამედ იმდენი ღონეც არა აქვს, შეიძინოს ხელ-საქმისათვის საჭირო ნივთები და მასალა. ამიტომ, მეტი ღონე არ არის, უნდა მივმართოთ საზოგადოებას და ვსთხოვოთ, ხელი მოგვიმართოს ამ კეთილს საქმეში.

*** საინგილო: 16 თებერვალს სოფ. ყორაღანში (ზაქათალის მაზრა) მოხდა შემაძრწუნებელი ამბავი, თავი მოიკლა დამბაჩით ახალგაზდა ქერივმა ლ—სამ. აი როგორ მომხდარა ეს ამბავი: როგორც სხვა ქვეყნებს, საინგილოსაც ეწვია ახალი სენი „ინფლუენცია“. ინგილოები თუმცა სტუმრის მოყვარენი არიან, მაგრამ პირველად როგორღაც იუცხოვეს: უპატიურად დახვდნენ ახალ სტუმარს და ამითი ძალიან გააჯავრეს, რის გამოც იმანაც განრისხებულმა მიჰყო ხელი თავისებურად: არ დაზოგა არც მდიდარი, არც ღარიბი, არც ახალგაზდა, არც მოხუცებული, და თითქმის ყოველ სახლიდგან 2—3 გაისტუმრა საიქიოს ამბის მისატანად, რომ საინგილო უწინდებურად უპატრონოა, არა ჰყავს ხეირიანი მკურნალი, ქურდობა უფრო ფესვებს იდგამს და მატულობს ცარცვა-გლეჯაო. საინგილოში ქალის ყოლა დიდი ბედნიერებაა დედ-მამისათვის. აქ თითო ქალი ისყიდება 10—30 თუმნად და ისყიდება ამფასად იმდენჯერ, რამდენჯერაც დაქვრივდება, ასე რომ ხშირად მამა ან ნათესავი ერთ ქალში იღებს 50—80 თუმანს. რა საფიქრებელია, რომ ეს ანგარიში ჰქონოდეთ ზემოხსენებულის ქვრივის დედ-მამას. ამას-კი ამბობენ, რომ დაქვრივების შემდეგვე გათხოვება მოუნდომეს ახალგაზდა ქვრივსაო. ამავე ქალს უარი განუცხადებია: თუმცა ახალგაზდა ვარ, მაგრამ მაინც არ გავთხოვდებიო. დედ-მამა არ მოეშვებია: არ შეიძლება, უსათუოდ უნდა გაგათხოვოთ, წესია და ადათიო. ქალს ველარ მოუთმენია, ავსებია მოთმინების ფიალა და მოუკლავს თავი. ასე ამბობენ, მაგრამ ღმერთმა უწყის, თუ რამდენად მართალია ეს ლაპარაკი. დაბეჯითებით ის ვიცით მხოლოდ, რომ ქალმა თავის ხელითვე მოუსწრაფა თავის თავს სიცოცხლე და ძალად გამოესალმა წუთი-სოფელს.

*** სურამი: მადლობის ღირსნი არიან: ლ. ციციშვილი, ვ. ყიფიანი, ი. ფანიაშვილი, ნ. სიდამონიძე და გელიკურაშვილი, რომელთაც შემწეობა აღმოგვიჩინეს და ოთხშაბათს, 21 თებერვალს, დ. სურამში წარმოადგინეს ორ-მოქმედებიანი კომედია „ბაიყუში“ ბ-ნ ცაგარლისა «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სასარგებლოდ. წარმოდგენამ საზოგადოდ ჩინებულად ჩაიარა, მაგრამ, საუბედუროდ, ხალხი ნაკლებად დაესწრო, თუმცა ფასები ზომიერი იყო. მაყურებელთა შორის ორი იყო მხოლოდ სურამელი. სურამელებს არც-ა სცალიანთ ამისთანა საქმისათვის: იმათ წითელი ღვინო და დუდუკის კვნესა მთელს ქვეყანას ურჩევნიათ. წარმოდგენიდგან შემოვიდა 16 მანეთი. გვრცხვენიან სურამელების მაგივრად. ხარჯი იყო. სცენის გასამართი 2 მან. 50 კაპ., 1—50 კ. მეჭიანურეს, 1 მ. პარიკმახერს და 2 მანეთიც წვრილად დაიხარჯა. დანარჩენ 9 მ. გიგზავნით და გთხოვთ გადასცეთ, საცა ჯერ არს.

*** „Московскія Вѣдомость“-ის სიტყვით, ერთი ავსტრიელი ვარსკვლავთ-მრიცხველი ამტკიცებსო, რომ წელს ცაზედ ხელ-ახლად გამოჩნდება იგი ვარსკვლავი, რომელიც გამოეცხადა მაცხოვარის შობის დღეს მოგვებსაო. ეს მეშვიდე გამოჩენა იქნება ამ ვარსკვლავისა ქრისტეს შობის დღიდგანაო.

*** თებერვლის 27, პოლიციის მეექვსე ნაწილში, ტფილისის მცხოვრებელმა იზაკ ყორჩიბაშიშვილმა ჩხუბის დროს დანით დასჭრა ტფილისისავე მცხოვრებელი კონსტანტინე ბერძენოვი. დაჭრილი საავადმყოფოში წაიყვანეს. დამნაშავეს დაეძებენ.

*** ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამას წინად ა. ნ. ვაჩნაძეს შემოაკვდა თავისისავე გვარის კაცი თ. ნ. ი. ვაჩნაძე სოფელს კარდენახში. მოკლულის ვაჩნაძის დასაფლავებაზე დეკანოზმა ბეგიაშვილმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა, რომელსაც აქვე ვბეჭდავთ.

სიტყვა თქმული დეკანოზის ბეგიაშვილის მიერ თ. ნ. ი. ვაჩნაძის დასაფლავებაზე.

პატივცემულნო ჭირისუფალნო და მორწმუნე ქრისტიანენო!

აი კიდევ ეს ახალი მსხვერპლი იმ საზიზღარის, შემაძრწუნებელისა და თავზარის დამცემის საქციელისა და მოქმედებისა, რომელსაც ეწოდება კაცის-კვლა. მაგრამ არა, ეს საქციელი, რომ სიმართლით ვსთქვათ, არა მხოლოდ კაცის კვლაა, არამედ კვლა ძმისა და მასასადამე ნამდვილი სახელ-წოდებაცა ამისი უნდა იყოს კაენობა.

იმ საპატიო და სასიქადულო იარაღს, რომელსაც ეწოდება ხანჯალი და რომელსაც ჩვენი სახელოვანნი და დიდებულნი წინაპარნი ხმარობდნენ მხოლოდ მოსისხლე მტერთა წინააღმდეგ დასაცველად სჯულისა და სამშობლოსი, ჩვენს დროს, ჩვენის ახალ-თაობის წარმომადგენელნი ატარებენ და ჰხმარობენ მხოლოდ მისთვის, რომ განიმეორონ ხოლმე შემაძრწუნებელი კაენის მოქმედება—ძმის-კვლა.

მერე ამ საზიზღარისა და გულ-გასაგმირის საქციელის გამო რას უფრო უნდა მივაქციოთ უმეტესი ჩვენი ყურადღება?—იმას ბატონებო, რომ მთელის ძველის აღთქმის ისტორია დაგვისახელებს ძმის მკვლელს მხოლოდ ერთად-ერთს კაენს და ჩვენს დროს-კი, ჩვენს პატარა სამშობლოში, ჩვენს პატარა საზოგადოებაში, წელიწადში რამდენსამე... და ისიც როდის? თვით წმინდა ორმეოცის პირველს კვირაში, როდესაც ჩვენი კეთილ-მსახური წინაპარნი მარხულობდნენ შვიდეულს და რომელსაც ყოველი მორწმუნე ქრისტიანე უნდა განატარებდეს მარხვასა და სინანულში. რისთვის მერე? ვითომ-და აღსადგენად შეურაცხებით და გაბიაბრუებით შებღალულ პატიოსნებისა და კეთილშობილებისა. როგორ მერე? ისე საზიზღრად, ისე გულ-ქვად, ისეთის შემაძრწუნებელის და გულის გამგმირის სახით, რაიცა არ ხდება თვით ველურს ხალხშიაც-კი, რასაც არ იკადრებს თვით უკანასკნელი ჯარის კაციც-კი თავის მოსისხლე და მოწინააღმდეგე მტერზედ ბრძოლის დროს: წაქცეულს, უძლურს და უმწეო მოწინააღმდეგეს სცემს მკვლელი ხანჯალს არა ერთხელ და ორჯელ, არამედ მესამედაც, რათა უეჭველად მოჰკლას ეს საბრალო თავისი მოძმე მსხვერპლი და ასე უდროვოდ და მოულოდნელად გამოასალმოს წუთი სოფელს. ვაი ჩვენს ასე დამცირებას, ვაი ჩვენს ასე ჭკუა გონებით დაქვეითებას, ვაი ჩვენს ასე ზნეობით დაცემას, ვაი ჩვენს ასე ღირსებისა და სარწმუნოების დაკარგვას, ვაი ჩვენს ასე ღვთის შიშისა და მსჯავრის დავიწყებას, ვაი ჩვენს ასე სირცხვილს და სინიდისის დაკარგვას, ჩვენს ასე მრთელს ქვეყანაში თავის მოჭრას, რომ ამ გვარად ჩვენის დროის კაენთ მეოხებით ჩვენ ერთობ ყოვლნი ქართველნი შევიქმენით თითით და ზიზღით საჩვე-

---

და, რომ, რაც დასტოვა, იგივე შეუცვლელად ნახა, მაგრამ აქვე დაუტრიალდა სხვა ფიქრი და სხვა გრძნობა: ის ხალხი, რომელშიაც ის აღიზარდა, რომლის კეთილდღეობაც მუდმივ ენატრებოდა, ისევ მიწურებში სცხოვრობდა, ისევ იმ გაჭირებაში და და სიბნელეში იმყოფებოდა.

— სოსე! არ მოგეწყინათ სოროში ძვრომა, ამ სიბნელეში ცხოვრება?!

— ეჰ, შენი ჭირიმე, მოწყენით ბარემ მოგვეწყინა, მაგრამ რა ვქნათ, ვერა ვბედავთ, ბატონო!

— რატომ ვერა ჰბედავთ? რისა გეშინიანთ! აი ჩემი სახლი თქვენი აშენებული არ არის?

— ჩვენი აშენებული რად იქნება, შენი ჭირიმე, თქვენის შეძლებით არის აშენებული. თქვენ ძლიერი ხართ, ბატონო! ყველაფერი შეგიძლიანთ და ჩვენ სად შეგვიძლიან თქვენი წაბაძვა! ზიარების მადლმა, ერთი მანეთი ვალი რომ დამედოს, ყელში მიჭერენ, მახჩობენ, და თქვენთვის-კი ასი თუმანიც ვალი არ არის!

— ყველა ასე ვარაუდობს, გაიფიქრა ნიკომ: და ვერც იფიქრებენ სხვანაირად! აზრს დაკვირვება და გარემოება შესცვლის. ჩვენს გულს-კი პირველისათვის დროც არა აქვს და მეორე-კი დასაბამითვე შეუცვლელია.

— მაშ ვერა ჰბედავთ, გეშინიანთ, განაგრძნო ნიკომ. როგორც გატყობ, ჩემო სოსე, დაგვიწყებია, რაც მე შენთვის ამ ოთხის წლის წინად მითქვამს.

— შენი ერთი სიტყვაც არ დამვიწყებია, მაგრამ შენს მოსვლას მოველოდი. უშენოდ ე ოხერი, ჭკუა არ მიჭრის. რაღაც კარგს მეუბნებოდი ხოლმე, მაგრამ კარგა ვერ გამიგია, რა ვიცი, თითქო ვერ ჩავხვედრილვარ... როგორღაც-კია და!

— ჰო, მესმის, რაც გინდა სთქვა. ცარიელის გაგებით რა გამოვა, არა? ნუ გეშინიან, ჩემო სოსე, აი ჩვენ ეხლა ვერაფერი დაგვაშორებს. ერთად საქმეს შევუდგეთ და უფრო უკეთ წავიყვანოთ. შენ მე მენდე, მე შენ გენდობი; ხელი ხელს მივცეთ და საქმეც კარგად წავა.

სოსემ ცხენს უზანგები ჰკრა, რომ ნიკოს დაახლოვებოდა და იმისი ერთი სიტყვაც არ გამოჰპაროდა.

— გენდო? როგორ არ გენდობი!... წაილუღლუღა თავისთვის სოსემ და, რაღაც ფიქრებით აღელვებულმა, ცხენის ფაფარს თვალები დააშტერა.

არც ნიკო, არც სოსე ხმას აღარ იღებდნენ. უკვე ჩაიარეს დაქანება და დაქანცული ცხენები ქშენით აღიოდნენ იმ აღმართს, რომლის წვეროზედაც ნიკოს სოფელი იყო გაშენებული. ნიკოს სახლს მაღლობი ადგილი ეჭირა და თითქმის ზედ გზის პირას იდგა. ჯერ სრულებით არ ასულიყვნენ აღმართზე, რომ ნიკომ თავის სახლის სარკმლები დაინახა და თვალი ველარ მოაშორა.

— რა საშინელი დუმილია, გაიფიქრა ნიკომ: აი ეს ერთი ცვლილება. იმ სარკმლებს უწინ გაჩაღებულს ვხედავდი და ეხლა შავად გამოიყურება. უწინ მე აქ მამა მომეგებებოდა ხოლმე და ეხლა...ეხლა ვილა მყავს, ვილა მომეგებოს.

— სოსე, უთხრა ნაღვლიანის ხმით ნიკომ: მიდი, თუ ღმერთი გწამს, მალე და სანთლები აანთე, თორემ ლამის გული ამომვარდეს დარდით. ეჰ, ამოიოხრა ნიკომ სოსეს წასვლის უმალ, რა ოფლით, რა მრუდე გზით, რა თავის დამცირებით იძენდი, მამაჩემო, ამ სიმდიდრეს, რომ ჩემთვის დაგეტოვებინა. მე გძრახავდი, ზოგჯერ მძულდი, გაძაგებდი, შენი მტერი ვიყავ, მაგრამ გეფიცები—შენის ერთის დანახვისათვის ეხლა ყველაფერს მოგიტევებდი, რადგან ვიცი, რომ შენსავით არავის დაუწყებდა გული ცემას ჩემს დანახვაზე, შენსავით სიხარულით არავის დაებმოდა ენა ჩემის მოსალმების დროს, შენსავით სიყვარულითა და ალერსით არვინ დამიწყებდა ცქერას.

ამნაირს მწარე ფიქრებში იყო გართული, როდესაც მსახურები მიეგებნენ ნიკოს.

— გამარჯობათ, გამარჯობათ! შესძახა მხიარულად და სიამოვნებით ნიკომ და ყველას თითოეულად მიესალმა, ყველას ამბავი თითოეულად იკითხა.

— ყველანი შემოდით, სინათლეზე გაგსინჯოთ, ხომ არ დაბერებულხართ, ამბობდა სიცილით ნიკო, როდესაც დარბაზში შედიოდა. მაგრამ სოსეს მეტი, რომელსაც ხელში სანთელი ეჭირა, იქ არავინ შეჰყოლია.

შესვლის უმალ ნიკომ ერთი თვალი-კი მოავლო ოთახს და მერე, თითქო ერიდება რასმეო, საჩქაროდ საწოლისკენ(?) — 

საჩქაროდ საწოლ-

ვარძელისაკენ გაეშურა და შიგ ჩაესვენა.

— მაშ ასე, მოვედი, ჰა? სთქვა გონება-დაუტანებლად ნიკომ, და სოსესაც სთხოვა, შენც ჩემთან დაჯექიო.

— ასედაც არა მიშავს-რა, შენი ჭირიმე, უპასუხა სოსემ და როდესაც ნიკომ რამდენჯერმე გაუმეორა თხოვნა, ის მაინც სავარძელში არ ჩაჯდა და ჩალის სკამი მოიდგა; მაგაში ჯდომა არ მეხერხებაო.

რაღაც ნაირს მდგომარეობაში იყო ნიკო. თითონაც ვერ აძლევდა თავის თავს პასუხს, თითქო რაღაც აწუხებდა; თითქო ყველა ეს ისე არ უნდა ყოფილიყო, როგორც იყო, და რა— ყველა ეს, თითონაც-კი არ იცოდა. ამ ნაირად ნიკო შეწუხებული ჰშფოთავდა და ტრიალებდა სავარძელში. თავის გასართობად დაუფიქრებლად ხან რას ეკითხებოდა სოსეს, ხან რას და იმის პასუხს-კი ყურს არ უგდებდა.

— რა ექნა, რა მემართება, რომ ველარ მოვისვენე! სთქვა ბოლოს გაჯავრებით ნიკომ: თითქო ვილაც გვაკლია, ან ვილაცას ველი!

სოსემ თავი ჩაღუნა, ნიკომ გადახედა სოსეს და მერე გაშტერებულმა სტოლზე ანთებულს სანთელს ცქერა დაუწყო. რამდენსამე წამს ორივენი გაჩუმებულები იყვნენ. მეორე ოთახში ბიჭმა სამოვარი შეიტანა. სამოვრის შიშინზე ნიკომ უეცრად სოსეს შეჰხედა და იმ ნაირად ანიშნა თითით, თითქო უნდოდა ეთქვა: გესმის ის შიშინიო. პირი გახსნა რაღაცის სათქმელად, მაგრამ კრინტიც ვერ დასძრა. სოსე, რომელსაც ეგონა, რომ ნიკო ჩ ის თხოულობდა, უცბად წამოხტა. კარებიდგან რომ მოიხედა, ნიკო თავ-ჩაღუნული ცრემლებს იწმენდდა. მძიმე იყო ნიკოსთვის ეს პირველი წამები გაეტარებინა იმ სახლში, რომლის ყოველი კუთხე მშობლებს აგონებდა.

ნიკო ისევ ჩაფიქრებული იყო, როდესაც სოსემ წინ ჩაი დაუდგა.

— ეჰ, ჩემო სოსე, უთხრა მწარე ღიმილით ნიკომ: ნეტა ეგ სამოვარიკი არ დაგედგა-და!.. მაგრამ რაკი დაგიდგამს, რა გაეწყობა, დავლევ.

— ეს მამაჩემის ჩვეულება იყო, თუ საიდამგნმე მოვიდოდა, უთუოდ ჩაი უნდა დაეხვედრებინათ, თუნდ შუაღამეც ყოფილიყო. ასე არ იყო?.. ჰკითხა სიცილით ნიკომ. შენთვის რატომ არ მოიტანე ჩაი? მე მარტო რა დამალევინებს!

სოსემ, რომელიც თანდათან ნიკოს ეჩვეოდა, ღიმილით შემოიტანა თავისთვის ჭიქა და ნიკოს სურვილისამებრ სტოლზედ დაიდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა


ნებულნი არა თუ მხოლოდ ჩვენის ქვეყნის სხვა და სხვა ერისა და სარწმუნოების წარმომადგენელთა მიერ, არამედ თვით ურწმუნო ლეკთა და თათართაგანაც-კი...

მაგრამ მხოლოდ ეს ამ გვარი ჩვენი ყოფა-მდგომარეობა არაა სამწუხარო და სავალალო. არა ნაკლებ ამისა გვიკლავდეს უნდა გულსა და გვიღვიძებდეს მწარე ფიქრებს ის გარემოება, რომ ძმის მკვლელი კაენი დაემორჩილა ღვთის სასჯელს და თავის ხვედრს, განშორდა სამშობლოსა და ნათესავთ, შეიქმნა უბინაო მაწანწალად და ეშინოდა თვით თავის აჩრდილისაც-კი; ხოლო ჩვენის დროის კაენნი-კი თავიანთ საზიზღარსა და შემაძრწუნებელს საქციელს რაცხვენ რაღაც ვითომ-და რაინდულს მოქმედებად, თვისთა და მეგობართა შორის დაბრძანდებიან დიდის თავ-მოწონებით, სამწუხაროდ ჩვენდა, ჰპოულობენ მათ შორის თანამოაზრეთ, თანამგრძნობთ და, კაი უბედურებავ, მოწამეთაც-კი, რომელნიც ფიცით ამართლებენ ამ ჩვენის დროის კაენთა წინაშე კანონისა და საჯარო სამსჯავროისა, რათა არა მოსპობილ იქმნან ეს ამ გვარი გულის გამგმირი და თავს ზარის დამცემი უბედურებანი, არამედ რათა უფრო ხშირად განიმეორებოდნენ ჩვენდა სასარცხვილოდ და სავალალოდ...

სად უნდა ვეძიოთ და ვპოვოთ სახსარი და საშუალება დასახსნელად ესეთის ჩვენის სამწუხარო ყოფა-მდგომარეობისა, ესეთის ჩვენის ზნეობა-გონებით დაქვეითებისა, ესეთის ზნეობით დაცემისა და ღვთისადმი შიშისა და სარწმუნოების, ხოლო მოყვასთადმი ძმობრივის სიყვარულის დაკარგვისა? ჩვენშივე, მსმენელნო ქრისტიანენო, ჩვენშივე. კანონი და სამართალი ჩვენ ვერ დაგვიხსნის ამ უბედურებიდამ, უკეთუ ჩვენ თითონვე ერთობ ყოველნი არ დავუწყებთ ბოროტებას და მისს მომქმედთ მხილებასა და დევნას, ხოლო ჩვენის დროის კაენთ გაძევებასა არათუ მხოლოდ ჩვენის საზოგადოებიდამ, არამედ თვით სამშობლოდამაც-კი; უკეთუ ჩვენ ყოველნი არ ვეცდებით ყოვლის ღონით, რომ მოზარდი თაობა აღვზარდოთ ადამიანურად, ზნეობიანად, ქრისტიანეულად, რომ იცოდნენ შიში ღვთისა და სიყვარული მოყვასისა, რომ არ ემსახურებოდნენ და ეთაყვანებოდნენ უგუნურს თავმოყვარეობას, არამედ ნამდვილსა და ჭეშმარიტს პატიოსნებასა და ქველობას; უკეთუ ჩვენი თავად აზნაურნი და საზოგადოდ მოწინავე დასის წევრნი არ იქმნებიან ამ გვარ საზიზღარ და გულსაკლავ უბედურებათა მომქმედნი, არამედ ყოველ გვარის პატიოსნების და ქველობის მაგალითნი და, როგორც ლამპარი ბნელისათვის, აგრეთვე ესენიც დანაშთენის ხალხისათვის სათნო და საკეთილო ცხოვრების გზის მაჩვენებელნი და მანათობელნი...

თქვენ-და, პატივცემულნო ჭირისუფალნო, აბა როგორ და რითი უნდა განუგეშოთ. უკეთუ უდროოდ მოწყვეტილი და გაშლილი ყვავილი ანუ ხეხილის კენწერო, მტევანი ვაზისა, ანუ ნაყოფი ხეხილისა აღძრავს ხოლმე ჩვენში სიბრალულს, დანანებას, გულ-შემატკივრობასა და მწუხარებას, ცხადია თუ რამდენად უმეტესის თანაგრძნობისა და გულ-შემატკივრობის ღირსნიც უნდა ბრძანდებოდეთ ამ უბედურებისათვის თქვენ და ეს თქვენი საბრალო, ესრედ მოულოდნელად საზიზღარის მკვლელობისაგან სიცოცხლეს გამოსალმებული, თავადი ნიკოლოზ,—რომელსაც რომ ამ სიცოცხლით, ჯან-ღონითა და ათასის იმედებით აღსავსე ყმაწვილ კაცს, ჩვენის დროის კაენის მოხვებით, მთელის-და მხოლოდ შავი და ბნელი სამარე. ჭეშმარიტად რომ ამ გვარის უბედურების ჟამს ჩვენ აღარავითარიმე კაცობრივი ნუგეში აღარა დაგვრჩენია-რა თქვენთვის, ბატონო ჭირის-უფალნო, ამ ქვეყნიური და უნდა მიგითითოთ ზეცაზედ, რომ ყოვლად მოწყალე მეუფემ ცისა და ქვეყნისამან თავის ღვთაებრივის მოწყალებით განუგეშოსთ და გაგიქარვოსთ ეს ჭირი და მწუხარება, ხოლო ეს უბედური, მკვლელობის მსხვერპლი, საბრალო თავადი ნიკოლოზ, მიიღოს მან მოწყალებით და სულსა ამისსა განუსვენოს სასუფეველსა შინა ყოველთა მართალთასა. ამინ.

## კრება სამეურნეო საზოგადოებისა

27 თებერვალს.

დაწყებისათანავე ბ-ნმა თავმჯდომარემ აუწყა კრებას, რომ უკვე ორმოცი წლიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც „კავკასიის სამეურნეო საზოგადოება“ დაარსდა. პირველი პრეზიდენტი „საზოგადოებისა“ იყო თვით მისი დამაარსებელი, თ. ვარანცოვი. ამიტომ მოვიხსენიოთ პატივით მისი მოღვაწეობა საზოგადოდ კავკასიის და კერძოდ ჩვენის საზოგადოებისათვისო. თ ვარანცოვის პატივსაცემლად კრება მაშინვე ფეხზედ წამოდგა. შემდეგ ამისა ბ ნმა თავმჯდომარემ წაიკითხა სახელმწიფო ქონებათა მინისტრის თ. ოსტროვსკისაგან გამოგზავნილი დეპეშა მთავარ-მართებელ თ. დონდუკოვ-კორსაკოვის სახელზე. დეპეშა იუწყებოდა, რომ უმაღლესად ნება დაერთო კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ამიერიდგან იწოდებოდეს კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებადაო. დეპეშის წაკითხვისათანავე კრება კვლავ ფეხზე წამოდგა და ხმა-მაღლის „ურას“ ძახილით მიეგება ამ სასიხარულო ამბავს. ბ-ნ თავმჯდომარეს წინადადებით გაუგზავნეს დეპეშები სახელმწიფო ქონებათა მინისტრს თ. ოსტროვსკისა და მთავარმართებელს თ. დონდუკოვ-კორსაკოვს. ამ დეპეშებით „საზოგადოება“ მადლობას უძღვნის თ. ოსტროვსკისა და თ. დონდუკოვ-კორსაკოვს, რადგან მათ უშუამდგომლეს საზოგადოებას ეს სახელწოდება.

ამ სასიხარულო ამბის შემდეგ ბ-ნმა თავმჯდომარემ განუცხადა კრებას ის სამწუხარო ამბავი, რომ საზოგადოებას მოაკლდა ერთი საუკეთესო წევრი, დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე. განსვენებულ დიმიტრი ზაქარიას ძეს ბაქრაძეს პატივსაცემლად კრება კვლავაც ფეხზედ წამოდგა.

შემდეგ ამისა ბ-ნმა კალანთარმა წაიკითხა მოკლე რეფერატი ბუნების მეტყველთა კრების სამეურნეო განყოფილების შესახებ. ბუნების მეტყველთა მერვე კრება შარშან იყო პეტერბურგში და სულ 25 წელიწადია, რაც დაიწყო. სამეურნეო განყოფილება უწინ კრებას აკლდა და მხოლოდ ამ უკანასკნელს კრებაზე სწარმოებდა.

ამ სამეურნეო განყოფილებას უფრო სამეცნიერო ხასიათი ჰქონია. ბევრი სამეურნეო საზოგადოება ყოფილა და არის ეხლაც რუსეთში გამართული, მაგრამ საგნად უფრო პრაქტიკული ინტერესი აქვთ, თუმცა მეურნეობა ისევე საინტერესოა თეორიულადაც მეცნიერთათვის, როგორც ყოველ გვარი სხვა საგანი. მაგალითებრ, მიწის ნიადაგის გამოკვლევა იმდენადვე აკმაყოფილებს მეცნიერულს ცნობის-მოყვარეობას ადამიანისას, რამდენადაც ატლანტიკის ცხოველების ანატომია. ამიტომ „სამეურნეო განყოფილება“ ყურადღებას არ აქცევს იმას, მაგალითებრ, თუ რა გვარ მცენარეს დათესვა უფრო მეტს მოსავალს აძლევს მეურნეს და ან რა გვარი პატივი უფრო იაფად დაჯდება. ამის მიუხედავად „სამეურნეო განყოფილება“ საზოგადოდ მიწისა და მცენარეების თვისებას იკვლევს და აგრეთვე იმის შესწავლაშია, თუ რა კანონების ძალით ჰხარობს, რა მიზეზით იძენს ამ ან იმ თვისებას ეს ან ის მცენარე ამისთანა ან იმისთანა ნიადაგისა და ჰავის ზედ-გავლენით.

შარშანდელს კრებაზე ორმოც-და-რვა რეფერატი წაიკითხეს ამ გვარიო.

დასასრულ კრებამ ამოირჩია კომისია და ამ კომისიას მიანდო იმის გადათვალიერება, თუ რა უმოქმედნია და რა გაუკეთებია „კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას“ ორმოცის წლის განმავლობაში და შემდეგშიაც რა გვარად უნდა იმოქმედოს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ბათაყო (კავკავის მაზრა). ქალაქ კავკავიდგან ჩრდილოეთის მხრით ორმოც-და-ხუთ ვერსზედ მდებარეობს სოფ. ბათაყო. ამ სოფელს ეს სახელწოდება აი საიდგან მიუღია: ორმოცდა-ათის-სამოციოდ წლის წინად აქ ყოფილა ქიშტის სოფელი და ამ სოფლის მკვიდრთა შორის „მდგარა ერთი სახელოვანი ქიშტი, სახელად „ბათაყო“. ამ ქიშტის გამო სოფელსაც ბათაყო დარქმევია. ეხლა ამ სოფელში ოსები ცხოვრობენ. როგორ მოხდა, რომ ეს ოსები მაშინ ცოტანი ყოფილიყვნენ, ესე სამოცი კომლი, ეხლა-კი სამასი კომლიც იქნებიან. რადგან იმ დროს ხეირიანი საცხოვრებელი ადგილი არსად ჰქონიათ, ამდგარან და მისულან სამოცი კომლი ოსნი და იმ ქიშტების სოფლის გვერდზე—ქიშტებიც სულ ოც-და-ათი კომლი ყოფილიყვნენ დასახლებულან. რასაკვირველია, ბათაყო თავის ქიშტებით და ეს ოსები ერთმანეთში ვერ მორიგებულან და ამიტომ ხან ქიშტები ჰკლავდნენ ოსებს და ხან ოსები მაგიერს უხდიდნენ. ამ ნაირად დღეს-ხვალ და იმდენი ჰქნეს ამ ოსებმა, ისე გაუჭირეს საქმე, რომ ქიშტი ბათაყო გააძევეს იქიდგან თავისის სახლით და დაინარჩუნეს სოფელი და ადგილ-მდებარეობაც. მასუკან ეს ოსები გამრავლდნენ და დღემდის იმ ქიშტის ბათაყოს სახელს ეძახიან სოფელს. დღეს-კი ჰსურთ, რადგან ბათაყო ქიშტი იყო, თათარი და მოუნათლავი, აღარ ერქვას ბათაყო სახელად ამ სოფელს, არამედ „ახალი გიორგიევის სოფელი“. ამის შესახებ სოფელმა განაჩენი დაადგინა ამ ორის წლის წინად და მთავრობას მიართვა, მაგრამ ჯერ არ მოსვლიათ პასუხი.

სოფ. „ბათაყო“ ეკუთვნის ბარის ოსებს. ეს სოფელი ცოტა მაღლობ ადგილზედ მდებარეობს და სამასი კომლი მართ-მადიდებელი ქრისტიანე ოსები სცხოვრობენ. მიწის ნაყოფიერებით ერთი უკეთესი სოფელია ბარის ოსებში და პურისა და თივის მოსავლით გათქმულია. როდესაც სხვა სოფლის ხორბა-

---

— სხვა, სოსე, სოფელში რა ამბავია? ვინ მოკვდა, ვინ დარჩა? ილაპარაკე-და! ეგრე გაჩუმება ვინ გაიგონა! პაპაშენი როგორ არის? არა ტყდება, მაგრად არის კიდე!

— ისე შენი მტერი იყოს, როგორც ის არის! სულ დაბრმავდა საწყალი, თვალით ველარ ჰხედავს!

— ოჰ, საწყალს თომას ეგ რა დამართვია! უთხრა თანაგრძნობით ნიკომ.

— რა, შენი ჭირიმე, და იმ უბედურ მამიჩემის სიკვდილზე თვალი ველარ შეიშრო, სულ იცრემლებოდა· უიმისოდაც თვალთ აკლდა და ეხლა სულ დაბრმავდა. ხელით სატარებელი გამიხდა. რა გაეწყობა, ბატონო, შენ მშვიდობით ბძანდებოდე და მაგ ჭირსაც გავუძლებ!..

როგორც ყოველთვის, სამძიმრის შემდეგ საჩუმე ჩამოვარდა. ნიკოს თუმცა ისეც არ უყვარდა თომა, რომ იმის დაბრმავების დიდი მწუხარება ეგრძნო, მაგრამ სხვაფრივ-კი ძალიან პატივსა სცემდა და კრძალვით იგონებდა ცოცხალს კაცს, რომლის თმა, წვერ-ულვაში საქართველოს ბედ-უბედობასა და ვაი-ვაგლახს ძალზედ გაეთეთრებინა. გარედგან რაღაც ხმაურობა მოისმა.

— ეს რა ხმაურობაა? იკითხა ნიკომ.

— ზეკუცია იქნება, შენი ჭირიმე. ქათამს მოსტაცებდნენ ვისმე და იმაზე ექნებათ ჩხუბი, აუხსნა სოსემ ნიკოს, რომელიც გაოცებით შესცქეროდა სოსეს და სცდილობდა გამოეცნო, რა ალაგი ჰქონდა ამ დიდის ხნის დავიწყებულს სიტყვას იმის სოფელში.

— ეგზეკუცია?! როგორ თუ ეგზეკუცია! ეგზეკუციას აქ რა უნდა?

— რა უნდა-და, ის უნდა, რომ ქურდები გამოაჩინეთო; ციმბირში უნდა გავგზავნოთო.

— მერე?..

— რა მერე?! ეს ორი კვირაა ორმოცამდის ჩაფარი სახლ-კარში ჩაგვდგომია. ძროხა და ღორი არავის შეგვარჩინეს; ქათმები სულ გაგვიწყვეს და ვართ ასე!

— ბიჭო-და, მერე. . ნიკომ სხვა ველარაფერი მოახერხა რა, ისე გააკვირვა ამ გარემოებამ, რადგან სრულებით ვერ წარმოედგინა ამ ეგზეკუციის დანიშნულება. მეტადრე როდესაც გაიგო, რომ სოფელი ეფიცებოდა, ქურდები არა გვყავსო, ნიკოს სულ ცეცხლი მოეკიდა გულზედ.

— სწორედ რომ ნამდვილი ეგზეკუციაა! ამბობდა გაანჩხლებული ნიკო: მანამდის პატიოსან კაცს ქურდად არ დაასახელებთ, სახლ-კარს აგიოხრებთო! კარგია, შენმა მზემ! დახე, ჰპირველი ჰკუა სადამდის მიდის ხანდახან. ამითი ქურდობა უნდა მოუსპოთო?!

— ეჰ, შენი ჭირიმე, მართალი უნდა სთქვას კაცმა, ქურდები-კი არიან სოფელში, ბევრნიც არიან, მაგრამ რა სინიდისი მოგვცემს ნებას, რომ დედას შვილი მოვტაცოთ, დას ძმა, და ციმბირში გასაგზავნად მივცეთ, მერე ნათლი-მირონობა ტრიალებს ჩვენ შუა. რისთვის? ყურძენი და კაკალი ვის არ მოუპარავს, ან სხვის ქათამი რომ კაცმა დაიჭიროს და უგუნურებით შესცოდოს ღმერთს, ამისთვის მეზობელი როგორ გავიმეტოთ. ეხლა იქნება მომპაროს, მაგრამ მერე ორი იმოდენა სამსახურს გამიწევს; სამსახურიც არ იყოს—მოვკვდები, ძმასავით დამიტირებს. ასეა, შენი ჭირიმე, ვერ ვემეტებთ, სხვის ცოდოს ვერ ვიდებთ კისერზე.

— თქვენ-კი არავინ გიცოდებთ?!

— გვიცოდებს! სიცილით მიუგო სოსემ: გვიცოდებს-კი არა, ათი სოფელი რომ ქურდებად გადაქცეულიყო, თავის დღეში იმდენს ვერ დაგვაკლებდა, რაც ამ ზეკუციამ ჩვენ საქმე დაგვემართა. აკი მოგახსენებთ, ეს საჩრო ხომ არ შეგვარჩინეს, ღმერთმა შეარგოთ, მაგრამ ხელი ვერ გავეინძრევია, სახლს ვერ მოვშორებივართ ამათი გადამკიდე.

გულ-მოსული ნიკო ფრჩხილებს იკვნეტდა. სოსე იმედით შესცქეროდა ნიკოს, რომელსაც ყოველთფრის შემძლედ ჰსახავდა და მისგან დასამშვიდებელს სიტყვას ელოდა. მაგრამ ნიკო ხმას არ იღებდა, მხოლოდ ხანდახან აღელვებული ნაწყვეტ აზრს წამოიძახებდა ხოლმე და ისევ გაჩუმდებოდა.

— მიდიხარ, სოსე? ჰკითხა ნიკომ, როდესაც სოსემ სკამიდგან წამოიწია.

— დიაღ, მოისვენეთ, დაღალული ბძანდებით, მე გიახლებით...

— მაშ კარგი, წადი. დილაზე-კი ისევ აქ მოდი, არსად წახვიდე. მომიკითხე მოხუცი და ლათოცა. მართლა ლათოს ამბავი ვერა გკითხე, არ გაგითხოვებია? ისევ ისე ლამაზია!..

— გმადლობ, შენი ჭირიმე, უთხრა ღიმილით სოსემ: არა თხოვდება, რამდენი მაშუალები მომიგზავნეს, მაგრამ არ უნდა ჯერ გათხოვება.

— ე! რა ნაირ გაჯიუტებულა, რა მიზეზიაო?

— რა ვიცი, არ ამბობს, არ მინდა გათხოვებაო.

— ერთი უთხარი ჩემს მაგიერად, რომ ხვალ ჩაი შენ უნდა გაგვიკეთო, ნიკომა-თქო.

სოსეს წასვლის შემდეგ ნიკომ დარბაზში ბოლთის ცემა დაიწყო და ფიქრებში წასული ხანდახან ხმა მაღლა წამოიძახებდა ხოლმე აღელვებით თითო-ოროლა მაგარ-მაგარ სიტყვას. ბოლოს მივიდა სტოლთან და, თითქო იქ ყურს უგდებს ვინმე, ხმა-მაღლა დაიწყო ლაპარაკი.

— ღმერთო, რამდენი უგუნურებაა ქვეყანაზედ! ხალხსაც რამდენ ნაირი გულ-შემატკივარი ჰყავს! ყველას თავისებურად უნდა უწამლოს ქვეყნის ტკივილს. ეხლა ეს ჩაფრებიცა და ეს ზეკუციაც ქვეყნის ხსნისათვის არის მოგონილი, მაგრამ გამიწყრეს იმის მკურნალობის მადლი. რასაც ტკივილს არ დაამწარებს, ეგ ლონე არ დააყუჩებს წყლულს. გაღარიბებულს ხალხს რაღა გაღარიბება უნდა. ქურდობენ მაშინ, როცა ხელ-მოკლენი არიან, ან აყრის ილაჯი აღარა აქვთ, ცხოვრება გასჭირებიათ და გამწარებიათ. ზეკუცია რომ ჩაუყენოთ ხალხს, რომ დავარბიოთ უიმისოდაც გასაწყლებული სოფლები, ვსთქვათ ცოტას ხანს მოვსპეთ ქურდობა და მოვაშორეთ ქურდები, მერე ისე გაღარიბებულნი, ჩვენის ონავრობით გაბოროტებულნი უარესს ავ-კაცობას არ დაიწყებენ? ეჰ, მე ერთი რას გავხდები, ათასიც რომ თავი ვიხეთქო. აქ ასობით უნდა ჩემისთანა, ასობით, სთქვა ბოლოს ნიკომ და ისევ ბოლის ცემა დაიწყო.

შუაღამე გადასული იყო, როდესაც სანთელს ხელი მოავლო და საწოლს ოთახში გავიდა. ტანისამოსს რომ იხდიდა, უცბად თვალი მოჰკრა ლურსმანზე ჩამოკიდებულს ბუხრის ქუდს. რაღაც სასოებით ჩამოიღო, მწარე ღიმილით გადახედ-გადმოხედა, ხელი გარშემო შემოუსვა, თითქო ეალერსებაო, ერთი ამოიოხრა და ისევ თავის ალაგას ჩამოჰკიდა. სანთელი რომ გააქრო, თითქო სიცივით გააჟრჟოლა. საბანი თავზე გადიფარა, შიგ გაეხვია კარგად და ბნელს მდუმარებაში ოდნავ გაისმა ნიკოს ხმა: „რა მარტოდ-მარტო ვარ!“

პავლე ყიფიანი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მერკა ოთხ აბაზად იყიდება, ბათაყოს სოფლის ხორბალი ორ შაურით მეტი უნდა გაიყიდოს კავკავში; როდესაც სხვა სოფლის თივა ურემი ორ მანეთად იყიდება, ბათაყოელისა ორ და ათ შაურად უნდა გაიყიდოს და სხვანი, ჰავით ადამიანის ჯან-სალობისათვის ხომ ერთი სოფელიც ვერ შეედრება ბარის ოსებში ბათაყოს. მცხოვრებნი როგორც ხვნა-თესვას, ისე საქონლისა და ფუტკრის მოშენებასაც მისდევენ. ხშირად ჰყავთ ცხენისა და ძროხის ჯოგი, ცხვრისას ხომ თქმა არ უნდა, უკანასკნელ მცხოვრებს გლეხს ათ-თხუთმეტზედ ნაკლები ძროხა არ ეყოლება. ბათაყო თითქმის ყველა ბარის ოსების სოფლებზედ განაპირებით მდებარეობს, ასე რომ გარშემო ქიშტები ჰყავს შემორტყმული და ხშირად ქიშტებისაგან წეწვა-გლეჯა და კაცის კვლა არ აკლიათ, მაგრამ არც არა-კი თითონ აყრიან ქიშტებს ხეირს. ბარე ორი ქიშტი სოფელში საქურდლად მოსული ჩაკლულა და ჩაფლულა ბათაყოელების ხელით, ისე რომ ქიშტებს მკვდარიც ველარ წაუღიათ. როგორც ზევითა ვსთქვით, სოფელი ბათაყო ცოტა მაღლობ ალაგზედ არის გაშენებული, შუაში დაბლობი აქვს ხევივით და აქეთ იქით ფერდობებზედ სახლები არის აშენებული. სოფელში პირველათ რომ შეხვალთ, მარცხენა მხარეს დაინახავთ ქვიტკირით აშენებულს სკოლას, საეკკლესიო-სამრევლოს, რომელსაც ინახავს მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება. მარჯვნივ ცოტა მაღლობზედ სდგას მშვენიერი, თლილის ქვით აშენებული ცოტა დაბალ გუმბათიანი ეკკლესია. ერთის სიტყვით, ეს სოფელი ყველაფრით სრული იქნება, რომ ერთი დიდი ნაკლი არა ჰქონდეს. ეს ნაკლი ის არის, რომ წყალი ნაკლებადა აქვს. დაბლობში ჩამოდის ერთი მკლავის სიმსხო წყალი. ეს წყალი არის მთელის ამოდენა სოფლის ხალხისა და საქონლისათვისაც სასმელი-სახმარებელი. სანამ ტრედის ფრად ირაქრაქებს, მანამ თუ მიასწრეს, ხომ კარგი; თუ არა და, ნუღარ გაქვთ იმედი, რომ შავის ტალახიდამ წმინდა დაინახოთ ეს წყალი. ან-კი საიდგან იქნება წმინდა ეს ერთი ბეწვა წყალი, როცა მთელი სამასი კომლი, იმათი ქათამი, ინდაური (ბატისა და იხვის შენახვის ნება არავის აქვს), ხარი, ძროხა, ცხენი, ცხვარი, შიგა დგას სულ. თუმცა ასეთი ამღვრეულია ეს წყალი, მაინც კაცმა რამდენიც უნდა სვას, არ აწყენს. ერთი მოთავე კაცია საჭირო, თორემ ამ სოფლის მცხოვრებთ აღარ ექნებათ ამ მღვრიე წყლით თავი მობეზრებული. ამ წყალს სათავე იქვე ახლო სოფლის თავში აქვს. სოფელმა რომ გამოიღოს ფული, მშვენივრად მილით გამოიყვანენ ამ წყალს შუა სოფლამდე და საშვილიშვილოდ მორჩებიან ტალახიანის წყლის სმას. ნამდვილად ვიცი, რომ ბათაყოშივე მცხოვრებელს კუბალოვს, რომელიც კარგა შეძლებული კაცია, ეთქვა სოფლისთვის, ნახევარს მილების ფასს მე ვიტვირთებ, ნახევარი თქვენ მომიღეგით, დავიბაროთ მილები და გავმართოთ მილის წყალიო, მაგრამ კუბალოვის თხოვნაზედ ხალხმა ლაყლაყი დაიწყო. ზოგმა სთქვა: მე სოფლის თავში ვდგევარ, ისეც წმინდა წყალსა ვსვამ და რად მინდა მილის გამართვაო. ზოგმა სთქვა: მე ჩემთვის არა მაქვს-რა და წყალი რაში მეკითხებაო, ზოგმა რა და ზოგმა რა.

ამ სახით სოფლის წყალი დღესაც ძველებურად ტლაპოიანია....

ქართველი ოსეში

---

### წერილი რედაქციის მიმართ

#### I

ამ თვის 25, ნაწირევს, ჩვენმა მოძღვარმა დეკანოზმა, მამა რაჟდენ გიგაუროვმა, მთავარ-ანგელოსის ტაძარში, გადიხადა პანაშვიდი ჩვენის მეირფასის მამულიშვილის დიმიტრი ზაქარიას ძის ბაქრაძის სულის განსვენებისათვის. პანაშვიდის დაწყებამდის დეკანოზმა წარმოსთქვა გრძნობით სავსე სიტყვა, რომელმაც მსმენელებს აუდუღა გული და ცრემლი აფრქვევინა. პანაშვიდზედ დაესწრო სამასზე მეტი მლოცველი. ყველანი ევედრებოდნენ ღმერთს ნეტარხსენებულის დიმიტრის სულის განსვენებისათვის. ჩვენ, ქუთათურნი, თანავუგრძნობთ მწუხარებაში განსვენებულის ქვრივ-ობოლთ და ჩვენც ვნუგეშობთ მით, რომ მათის ძვირ-ფასის პატრონის დაჩვენის სამშობლოსთვის თავ-დადებულის შვილის დიმიტრის „სახელი“ უკვდავი იქნება ჩვენში.

ვაჭარი გრიგოლ კემულარია

#### II

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ მისცეთ ადგილი თქვენს პატივცემულს გაზეთს „ივერიაში“ ამ მცირედს ჩემს შენიშვნას.

კვირას, 25 თებერვალს, ავლაბრის წმინდა მარინეს ეკკლესიაში წირვა იყო. სხვათა შორის ამ წირვის დროს ფრიად საყურადღებო იყო ქართული გალობა, რომელმაც ისე დაატკბო და აღტაცებაში მოიყვანა მსმენელნი, რუსი თუ ქართველი, რომ არავის გაუგია წირვა როგორ გათავდა. გალობდა სულ ოთხი კაცი, მაგრამ ისეთის ხმის შეწყობით, ისეთის დახელოვნებით, რომ ეკკლესიიდამ გამოსული ხალხში გაისმოდა: „ნეტა როდის-ღა ვეღირსებით მაგისთანა გალობის მოსმენასაო“.

ძრიელ კარგი იქნებოდა, რომ ამ ეკკლესიის მღვდელი მ. სოლომონ შოშიაშვილი ისურვებდეს მრევლის წყურვილის დაკმაყოფილებას და სემინარიის რექტორს გამოსთხოვდეს რამდენსამე ქართულს მგალობელს თავის ეკკლესიაში საგალობლად კვირაობით მაინც, რომლითაც დიდად დაავალებს მრევლს.

თბილისის მოქალაქე მამნიევი

---

## დეპეშა

28 თებერვალი

პეტერბურგი. სენატმა გარდასწყვიტა ქურდობაში უბრალო, ფოსტის მოხელეს პონომარიევის საქმის გამო: განაჩენი ხარკოვის სამოსამართლო პალატის გაუქმებულ იქმნას და 1088 მუხლის ძალით ობერ-პროკურორის თხოვნა საქმის განახლების თაობაზე ნუ იქნება განხილულიო.

«Нов. Врем.»-ია იუწყება, რომ პროექტი ახალის საპასპორტო წესდებისა საბოლოოდ განხილულ იქმნა და ამ დღეებში წარედგინება სახელმწიფო საბჭოსაო.

წინამდებარესა ნიჟეგოროდის იარმუკობის ხანში გაჭრებს განძრახვა აქვთ გაჰმართონ პირველი სრულიად რუსეთის გამოფენა შინად ნაკეთების სამრეწველო წარმოებისაო.

„Гражд.“-ი იუწყება, რომ შაბათს შეერთებული კრება სახელმწიფოს საბჭოს დეპარტამენტებისა განიხილავს, პროექტს საერო ზემსკის რეფორმისასაო.

ლონდონი. ზანზიბარიდამ მოვიდა ამბავი, რომ ვისმანმა იერიში მიიტანა და აიღო სიმაგრე არაბების მთავრის ბუნი-გერისა, რომელიც ლტოლვილ იქმნაო. გერმანელების ზარალი მცირედია; არაბებს მრავალნი დაუხოცეს.

რომი. დღეს იქმნა გამოცხადებული მოხსენება კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს ახლად მოაწყოს საქმენი ფოსტისა, ვაჭრობისა და ზღვათა გზისანი. მოხსენებაში კომისია ამბობს, სხვათა შორის, რომ საჭიროა გაიმართოს საერთა შორისო გზა გენუასა, სტამბოლსა და ოდესას შუაო და გენეცისა, სტამბოლსა და დუნაის გირლებს შორისო.

პეტერბურგის ბირჟა, 27 თებერვ.

| | მყიდველნი. | | გამყიდველნი. | | გაყიდულნი. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — | „ | | „ | 7 | 34 |
| ტამოჟნის კუპონები | — | „ | | „ | 146 | 62 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 | 08 | — | „ | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — | „ | — | „ | 238 | |
| —მეორისა | — | „ | — | „ | 225 1/4 | |
| —მესამისა | — | „ | — | „ | 217 1/4 | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — | „ | — | „ | — | „ |

## განცხადებანი


ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობა პატივის-ცემით განაცხადებს, რომ ამა მარტის თვრამეტს, საღამოს ექვს საათზედ, დანიშნულია ამა საზოგადოების წევრთა საყოველთაო კრება.

ამ კრების საქმე არის:

1) განხილვა და დამტკიცება ანგარიშისა საზოგადოების ოპერაციებზედ წარსულის 1889 წლის განმავლობაში და დამტკიცება მოგების განაწილებისა.

2) განხილვა წინადადებისა წესდების რამდენისამე მუხლის შეცვლაზედ.

3) დანიშვნა რიგისა და ზომისა იმ გასამრჯელოსათვის, რომელიც უნდა მიეცეს მმართველობაში თანამდებობის კაცი.

4) განხილვა და დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა 1890 წლისათვის.

და 5) არჩევა წესდების თანახმად გამომავალთა მაგიერის სამის რჩევის დეპუტატისა, გამგეობის ერთის წევრისა და აგრეთვე სარევიზიო კომისიის წევრებისა, ამ უკანასკნელთა კანდიდატებისა და სხვა თანამდებობის კაცთა, თუ რომ ეს საჭირო აღმოჩნდა.

(3—2)

ჩვენ წავართვით ძმათა პეტროკოკინოს ოდესის ფირმას იმის უფლება, რომ ვყიდოთ ჩვენი.

სამოგადო წასასმელი

ლითონთა საწმენდავად

საუკეთესო ღონისძიება

მთელის ქვეყნის მიხედ!

წავართვით იმ მიზეზით, რომ იგი საქვეყნოდ აღიარებულ ჩვენის ლითონთა საუკეთესო წასასმელის მაგიერ ყალბს წასასმელს ჰყიდის, ჩვენის ფაბრიკის ყუთის მსგავსს ყუთში გაკეთებულს.

—შემომკვეთლებს ვთხოვთ პირდაპირ ჩვენ შემოგვიკვეთონ.




მყიდველებსა ვთხოვთ ყურადღება მიაქციონ აქ დაბეჭდილს სურათს ჩვენის ფაბრიკის მარკისას. ეს სურათი ლითონის წასასმელის ყველა კოლოფზეა. თუ კოლოფს ასეთი სურათი არა აქვს და მხოლოდ ამისი მსგავსია, ყალბი იქნება

(26—3)

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

გორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ „ნობათი“-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

LE CAUCASE ILLUSTRÉ

RÉDACTEUR EN CHEF: J. MOURIER

IMPRIMERIE MARTIROSSIANTZ—TIFLIS

Prix de l'abonnement: Tiflis, un an: 10 roubles; Russie et Caucase: 12 r.; Union Postale: 14 r

(6—2)

ტფილისში ქალაქის შუაგულ, გოლოვინის პროსპექტზე, ბანკირის ჩითახოვის სახლში, კრუჟოკის გვერდზე, გავმართე მდიდრულად მორთული ნომრები:

„დ ა ნ ი ა“

ყოველმხრით მოხერხებული. ფასი თითო ოთახისა 60 კაპ. დაწყებული 5 მანათამდე დღე და ღამეში.

თთვეობით ბევრად ნაკლებ შეიძლება.

მსურველთათვის საბანებელი ვანაც არის: ცივისა და თბილის წყლისა.

განტორა თავ-მდებია, რომ მოსამსახურე ქალნი და კაცნი თავაზიანი და პატივისცემით მოეპყრობიან მდგმურთ.

საჭმელ-სასმელი გემრიელია, შინაური, სუფთად გაკეთებული.

სადილი ორ-ფერი საჭმელი—55 კ. } მსურველთ ფინჯანი ყავა.
— სამ-ფერი საჭმელი—75 კ. }

გვყავს საკუთარი მოსარეცხე და იფრინდა აქეთ-იქით გასაგზავნად.

(30—2) ნომრების პატრონი პეტრე საყვარელიძე

სასტუმრო

„პ უ რ - ღ ვ ი ნ ო“

(გოლოვინის პროსპექტზედ, თ. მუხრან-ბატონის სახლებში, კლუბს ქვეშ)

მუდამ დღე მზადდება ყოველ გვარი, ადგილობრივსა და ევროპიულს გემოვნებაზედ გაკეთებული, საჭმელი.

იმერულსა და გურულს საჭმელებს ამზადებს საგანგებოდ გურიიდგან მოწვეული მზარეული.

ორი თავი საჭმელი ღირს თთვიურად 12 მანათი. მსურველთ სახლებშიაც გაუგზავნით.

სასმელები: გვაქვს ყოველ ნაირი ღვინო მუხრან-ბატონისა (იმისავე შამპანური ღვინო), გახური ღვინოები საუკეთესო ფირმებიდგან ბოთლი ორ აბაზიდამ, ვიდრე მანეთ ნახევრამდე.

ლუდები (პივო) ყველა ადგილობრივის ქარხნისა, აგრეთვე ადლისისა და ჟიგულევსკის ქარხნებიდამ. ყოველ გვარი ტკბილი სასმელი (ლიკიორები) და აზღვარ-გარეთის ღვინოები.

სასტუმროში გამართული გვაქვს განსაკუთრებული საოჯახო ოთახები (ცალკე კაბინეთები).

მოგვდის, ადგილობრივს გარდა, სატახტო ქალაქების ზოგი ჟურნალ-გაზეთიც.

ცალკე გამართული გვაქვს ფრანგული და რუსული ბილიარდები*). გვაქვს აგრეთვე ნარდი და ჭადრაკი (შახმატი).

სასტუმროსა აქვს ავეჯით მორთული ოთახები, რომელნიც დღიურად ღირს ათ შაურიდგან მანეთ ნახევრამდე.

ვინც თთვეობით აიღებს, დაეთმობა მთელის ფასის ერთი მესამედი.

სასტუმროს პატრონები: { ი. მამინაიშვილი და ა. თოიძე.

*) რუსული ბილიარდი კავკასიის გამოფენაზე შევიძინეთ. ამ ბილიარდმა პირველი ჯილდო მიიღო.

(25—11)


Доз. ценз. Тифлисъ, 28-го Февраля 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე